ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №47706

ნომერი: AR120063

თარიღი : 07.02.2012

გაცემის თარიღი : 13.02.2012

გაცნობის თარიღი : 13.02.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , კვარტალი 2 , კორპუსი 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ კირვალიძე პ/ნ 01020005966
- თბილისი კისისხევის ქ. N 21

ორგანიზაცია:

- იტალ ინვესტი კოდი: 404904145

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახურში" განხილულ იქნა თვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება გამსახურდიას გამზ. კვარტალი #2, კორპუსი #7–ში, შ.პ.ს "რედისონი"–ს კუთვნილი ფართის ფასადის რეკონსტრუქციას, სარეკლამო აბრის დამონტაჟებას და კონდიციონერის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შინაარსი არ შეესაბამება არჩეულ ნომენკლატურას, კერძოდ ნომენკლატურის თანახმად საკითხი ეხება "შენობა–ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟს", ხოლო ჩასატარებელი სამუშაოებით კი გათვალისწინებულია ფასადის შეღებვა, ვიტრინებისა და კარის მოწყობა, აგრეთვე სარეკლამო აბრისა და კონდიციონერის განთავსება. შესაბამისად უნდა შეივსოს ახალი განაცხადი და ნომენკლატურაში უნდა აირჩიოთ "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობების მოწყობა ან დემონტაჟი" (რეკონსტრუქცია), "შენობა–ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოსაპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება", "აბრებისა და რეკლამების განთავსება" და "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა". რაც შეეხება იერსახეს, არქიტექტურის სამსახურმა 30.01.12 წ. #12/10616-13 წერილით გაცნობათ არსებულ ხარვეზებზე, რომელიც თქვენი მხრიდან ამჟამად წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით გამოსწორებულია, მაგრამ გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ უცხო ენაზე შესრულებული წარწერა რაოდენობით და მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე (ქართული) შესრულებულ წარწერას, რაც თქვენი მხრიდან არ არის დაცული. შესაბამისად წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი, რომელიც აიტვირთება "ფოტომონტაჟი"–ს ველში და გათვალისწინებული იქნება სამსახურის რეკომენდაცია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.